

ბის ლიკვიდურობის დონეზე, ვიდრე აბსოლუტური სიდიდეები, ამასთან, თუ წლების მანძილზე ლიკვიდურობის კოეფიციენტის დინამიკა ხასიათდებოდა კლებადი ტენდენციით, საანალიზო ბანკის ბალანსის ლიკვიდურობის გაუარესების შესახებ სუბიექტური დასკვნის მიღებამდე საჭიროა გაანალიზდეს და შეუდარდეს იგი სხვა ბანკების ანალოგიურ მახასიათებლებს, რათა განისაზღვროს მოცემული პროცესი საერთოა თუ არა ქვეყნის საბანკო სისტემის ფარგლებში.

ამრიგად, ქვეყნის საბანკო სისტემის რეგულირებისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ძირითადი მეთოდების შემუშავება და გამოყენება. საბანკო რეგულირების მეთოდური საფუძვლების ანალიზის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეთოდები, რომლებიც საბანკო სფეროში არსებული და პოტენციური პრობლემების დროულად გამოვლენისა და მათ აღმოსავხვრელად ადგამატური დონისძიებების გატარების შესაძლებლობას იძლევა. ამ პროცესების შესაბამისი რეგულირება, საბოლოოდ გარანტს წარმოადგენს სასურველ დონეზე საბანკო სისტემის შემდგომი წარმატებული საქმიანობისა.

თამაზ გამსახურდია

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ზოგიერთი ასახვა

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა და ქვეყნის გლობალური კონკურენციარიანობის ზრდა ხელისუფლების უპირველეს მიზანს - მის მუდმივ ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს. ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობას მისი ეკონომიკური სიძლიერე წარმოადგენს, ამიტომ ხელისუფლების ყველა შტო მიზანით მართულად უნდა ასრულებდეს იმ მეტად საჭირო დონისძიებების განხორციელებას, რომელიც სარგებლობას მოუტანს ქვეყანასა და აქ მცხოვრებელ ადამიანების კეთილდღეობას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ვერა და ვერ მოხერხდა ქვეყნის განვითარების ვექტორის სწორად განსაზღვრა, რადგანაც სათავეში მოსული ყოველი ახალი ხელისუფლება თავისი შეხედულებების და არა ქვეყნის აუცილებლობიდან გამომდინარე ორიენტირებს ირჩევდა. ამიტომ ამ პერიოდში ჩატარებული რეფორმები არა ქმედითუნარიანი და არა თანმიმდევრული იყო. რადგანაც არ არსებობს ქვეყნის მდგრადი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული, სწორად გააზრებული და გათვლილი, დროში და სივრცეში გაზომვადი გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმები, რომელშიც ასახული იქნება არა კონკრეტული მთავრობის, არამედ საზოგადოებისა და ქვეყნის

სასიცოცხლო ინტერესები. ვერ ხერხდება სხვადასხვა დარგებში ჩატარებული ოუ ჩასატარებელი რეფორმებისა და სამუშაოების ერთიანი კონცეპციის შერჩევა. არ ხდება ადამიანური, ფინანსური, მატერიალური და არამატერიალური რესურსების შეფასება. მათი მეცნიერული შესწავლა-გამოყენება და შეჯერება სტრატეგიულ გეგმებთან. რაც განავითარებს სამეწარმეო, სამეცნიერო, კულტურულ და სოციალურ სფეროებს. ამით უდიდიდეს სარგებლიანობას მოუტანს ქვეყნასა და საზოგადოებას. ქვეყნის განვითარების ვექტორის, სწორი სტრატეგიებისა და ხედვების უქონლობამ ხელისუფლებას უბიძგა მრავალი გაუაზრებელი ექსპერიმენტების ჩატარებისაკენ, რამაც შეიწირა უმრავი ადამიანური და სხვა რესურსები და რაც მთავარია დაიკარგა უძვირფასები დრო.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველო ერთ-ერთი მოწინავე იყო მოსახლეობის ცხოვრების დონით, ახლა კი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მიხედვით, საქართველო თავისი კონკურენტუნარიანობის რეიტინგით 131 ქვეყნიდან ოთხმოცდამეათე ადგილზეა, ხოლო 2010 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე გათვლილი მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობით 1990 წლის მაჩვენებელს 25%-ით ჩამორჩება, რაც მას ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორისაც არასახარბისებრობით გამოარჩევს. მაგალითად, ამავე პერიოდში ესტონეთში ზრდამ შეადგინა 63%, ლატვიაში 24%, სომხეთში 66%, აზერბაიჯანში-87%. მშპ საქართველოში 1997 წლიდან 2003 წლის ჩათვლით გაიზარდა 70%-ით, ხოლო 2004 წლიდან 2009 წლის ჩათვლით მხოლოდ 36%-ით; ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მაგრამ რეალური ეკონომიკური განვითარება ვერ მოხდა. ზრდის სტიმულირებისათვის დიდი რაოდენობით კრედიტი იქნა აღებული, გაიზარდა საგარეო ვალდებულებები და გასხვისდა სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება. პერმანენტულად უარესდება ვითარება დასაქმებაში, იზრდება უმუშევრობა და კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია ფარულმა უმუშევრობამ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნაში ჩვენს ხელო არსებულ მცირე სასოფლო-სამეურნეო სავარგულ რესურსაც ვერ ვიყენებთ გააზრებულად და ეფექტურად. ამასთან სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში 2011 წლის მონაცემებით 7.7% შეადგინა. პერმანენტულად უარესდება ვითარება დასაქმებაში. იზრდება უმუშევრობა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებითაც კი და კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია ფარულმა უმუშევრობამ. ოფიციალური სტატისტიკით სოფლის მცხოვრები თვითდასაქმებულებს მიეკუთვნებიან, ამიტომ სოფლად სტატისტიკური მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებლები თითქოს დაბალია. საქსტატის მონაცემების მიხედვით საქართველოში დაქირავებულობა რაოდენობა 600000 არ აღემატება. ხოლო თვითდასაქმებულობა რაოდენობა მიღიონ მეტია. ამათგან უმეტესობა სოფლის მცხოვრებია. მნიშვნელოვანია, რომ 20 წელზე მეტია არც სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა ტექნოლოგიურად და არც სხვა სექტორებში იქმნებოდა ახალი სამუშაო აღგილები, ამასთან უკვე მრავალი წლის განმავლობაში მკვეთრად ჩამოყალიბდა საქართველოდან საზღვარგარეთულ ქვეყნებში (ეს უფრო იგრძნობა სოფლებში, სადაც დარჩა ბავშვები და მოხუცები) სამუშაო ძალის გადინების სახიფათო ტენდენცია. ნიშანდობლივია რომ ყოველივე ამან და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ერთად თავისი უარყოფითი გავლენა იქნია სოფლის მეურნეობის ზრდა-განვითარებაზე.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ საქართველოს გააჩნია მეტად ძვირფასი ბუნებრივი რესურსი მტკნარი წყლის სახით. ჩვენ ქვეყნაში მტკნარი წყლის მარაგი უშრეტია, სხვა ბუნებრივი სიმდიდრეებისაგან (ნავთობი, გაზი და სხვა მაღნეული წიაღისეული) განსხვავებით მაღადგენადია. სამწუხაროდ ეს წყალი ამაღდ იღვრება, ბინძურდება და ზღვაში ჩაედინება. ოვისებებისა და სარისხის მიხედვით საქართველოში არის მსოფლიოში საუკეთესო წყლები, გვაქს ბუნებრივი მრავალსართულიანი აუზი, სადაც წყალი შრე-შრე ბუნებრივად იფილტრება და იშვიათი მინერალებით მდიდრდება. ლეგნდებში ქართულ წყალს უკვდაგების წყლადაც მოიხსენიებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო მდიდარია მდინარეებით (26060), რომელთა საერთო სიგრძე 60 ათას კმ-ს აღწევს, ტბებით (850) რომელთა მოცულობა 0.5 მლნ კმ³-ს აღემატება და წყალსაცავებით (44) წყლის ზედაპირის საერთო ფართობი 163 კმ²-ია. ჩვენში მყინვარების რიცხვი 786 აღწევს, ხოლო საერთო ფართობი — 555.88 კმ²-ს. საქართველოში, ასევე, მრავლადაა ჩანჩქერები. ის გვხვდება სამეგრელოში (ოჩიომურის, აბაშისა და ტობას ჩანჩქერები), აფხაზეთში (გეგის, კლიოს), ყაზბეგის რაიონში (არშის, გველეთის), კახეთში (ლაგოდეხის ნაკრძალი) და სხვ.

ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყლის რესურსის ეფექტური პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად, აუცილებელ პირობად მიგვაჩნია:

- ქვეყნაში სტაბილურობის შენარჩუნება, ხელისუფლების ნება და ძალისხმევა კრიზისულ პერიოდიდან გამოსვლისათვის მეტად საჭირო პროექტების განხორციელებისათვის;
- ამ მნიშვნელოვანი ე.წ. საუკუნის პროექტიდან მიღებული დივიდენდები და ფულადი რესურსების ხარჯვა აუცილებელად უნდა ხდებოდეს გამჭვირვალედ და ხორციელდებოდეს მოსახლეობის სრული ინფორმირება პროექტის მიმდინარეობაზე;
- ამ სფეროში კადრების შერჩევა, პროფესიონალური მომზადება და კვალიფიკაციის მინიჭება უნდა ხდებოდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რაც იქნება ადამიანური რესურსების დასაქმებისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი საფუძველი;
- თითოეულმა ოჯახმა, მოქალაქემ მკაცრად უნდა გაათვიცნობიეროს წყლის სახელმწიფო ბრივი, სასიცოცხლო და მისი ეფექტურად გამოყენების მნიშვნელობა.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველოს ყველაზე მეტი შემოსავლების მიიღება შეუძლია სოფლის მეურნეობის რამდენიმე მიმართულების განვითარებით (დვინო, თხილი, ჩილი, ციტრუსები, ბოსტნეული, და სხვა).

ბოლო პერიოდში, მეცნიერებისა და ტექნიკაში მიღწეულმა მნიშვნელოვანმა წარმატებებმა თავისი პრაქტიკული ასახვა ჰქონდა მსოფლიო ეკონომიკის ყველა სფეროში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნაში შემუშავებული იქნეს შესაბამისი საშუალო და გრძელვადიანი გეგმები და განისაზღვროს წარმოების ის პრიორიტეტული დარგები, რომელთა ყოველმხრივ განვითარებას სახელმწიფო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უახლოეს პერიოდში. ამ მიმართულებით აუცილებელია შემუშავდეს ადამიანური რესურსების შერჩევა-მომზადება-გადამზადება-განვითარების გეგმა. რადგანაც მიგვაჩნია, რომ სამეცნიერო საქმიანობის უწყვეტი და მაღალი ტემპებით განვითარებისათვის მნიშვნელოვან დასაყრდენ ძალას წარმოადგენს მოწინავე გამოცდილების მქონე, კარგად მოტივირებული, ინტელექტუალური, კვალიფიციური პერსონალი.

საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის მისაღწევად საჭიროა სამეცნიერო სფეროში დაინერგოს უახლესი ტექნოლოგიები, რომელიც მოიცავს საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნას, საფონ-

დო, ფასიანი ქაღალდებისა და სასაქონლო ბირჟების, სპეციალური მიზნობრივი ფონდების, ლიზინგური, მარკეტინგული, აუდიტორული და კონსალტინგური ფირმების ჩამოყალიბებას, საბანკო და სადაზღვევო ინსტიტუციების განვითრებას.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ქვეყნის ხელისუფალთა მხრიდან იმდენი დანაშაული იქნა ჩაიდენილი, რომ ამის გამოსწორებას ათეული წლები დასჭირდება. ეკონომიკური მდგრმარეობის პარალელურად დაინგრა ეროვნული ტრადიციები, რამაც ოჯახის კრიზისი და შობადობის შემცირება გამოიწვია. უცხოელებზე ქართული მიწების გაყიდვამ გამოიწვია სოფელში მოსახლეობის შემცირება. 2010 წელს მიწების გაყიდვის მხოლოდ 16 ფაქტი დაფიქსირდა, ხოლო 2011 წელს - 33 ფაქტი. 2012 წლის მონაცემებით კახეთში ინდოელების მიერ მიწების შესყიდვის 584 ფაქტი დარეგისტრირდა. ხელისუფლების დიდი, თუ პატარა ჩინოვნიკები ხელის აუკანკალებლად ყიდდენ იმ მიწებს, რომელსაც სისხლით იცავდნენ ჩვენი წინაპრები. სამწუხარო ის არის, რომ ახლა თვითონ ინდოელები ყიდიან ჩალის ფასად ნაყიდ მიწებს და ჩვენი მამაპაპის სისხლით გაპოხილი მიწების ყიდვა-გაყიდვით ბიზნესი აიწყებს. საგანგაშო ფაქტია, რომ თბილისის ზღვაზე 127 ათასი ჩინელისათვის შენდება დასახლება, რაც იმას ნიშნავს, რომ საგარაუდო 20 წლის შემდეგ, თბილისის მოსახლეობის ნახევარი ჩინელი იქნება. სამწუხაროდ აღნიშნული ფაქტები ბევრ კითხვას სვამს ქართველი ერის წინაშე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მარცვლეული პულტურები 270 ათას პექტარზე იყო გაშენებული, ხოლო მოსავალი კი 600 ათას ტონას აღემატებოდა. 2010 წელს ნათესი ფართობი შემცირდა 198.2 ათას პექტარამდე, ხოლო მოსავალი 195.3 ათას ტონამდე. სამწუხაროდ ამავე პერიოდში შემცირდა არამარტო ფართობი, არამედ მოსავლიანობაც. თუ თავდაპირველად პექტარზე 20 ტონაზე მეტი მარცვლეული მოდიოდა, დღეს იგი 11-12 ტონას შეადგენს. ასევე, თუ 1990 წელს მიიღეს 326 ათასი კარტოფილი, 2010 წელს მიღებულ იქნა 114.1 ათასი ტონა ანუ 212 ათასი ტონით ნაკლები. საქართველოში თურქეთიდან იმპორტირებული იყო 7.2 მილიონი აშშ დოლარის დირებულების 24.7 ათასი ტონა კარტოფილი. აღნიშნულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ იანვარში თურქეთიდან იმპორტირებულ პროდიქციათა შორის მე-5 ადგილი დაიკავა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის ანალოგიურ პერიოდში ამ პროდუქციის იმპორტი თურქეთიდან არ განხორციელებულა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ თურქებს ათიათა-სობით ტონა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია გააქვთ საქართველოდან მაშინ, როცა ყოველგვარი შემოწმების გარეშე, საჭირო ხარისხის მქონე კარტოფილი შემოგვაქს. ვის ინტერესში შედის ყოველივე ეს? ჩვენ რა გვჭირს იმის ფასი, რომ კარტოფილი იმპორტის სახით შემოვიტანოთ? ჩვენ გაგვაჩნია იმის პოტენციალი, რომ სამხრეთ საქართველოში, მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო და ზემო სვანეთში, რაჭასა და სხვა რეგიონებში მოვიყვანოთ საუკეთესო ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ჩვენი მოსახლეობის დაკმაყოფილებასაც შევძლებთ და დიდი რაოდენობით ექსპორტიც შეგვიძლია ვაწარმოოთ. რაც შეეხება ბოსტნეულის წარმოებას, იგი 641 ათას ტონიდან 185.8 ათას ტონამდე შემცირდა ე.ი. თითქმის 3-ჯერ და მეტად. ასევე შედარებით ცუდი მდგრმარეობაა ყურძნის წარმოება-მოყვანის საქმეში. 620 ათასი ტონიდან 159.6 ათას ტონამდე შემცირდა ე.ი. თითქმის 4-ჯერ. დასანანია, რომ ყურძნის მარნად წოდებულ კახეთის რეგიონში (ცნობილია, რომ საქართველოში გაშენებული იყო საბჭოთა კავშირის ვენახების 11%) მისი წარმოება ნელნელა მცირდება. ჩვენი აზრით, ამის ძირითადი მიზეზია - შესყიდვის დაბალი ფასები და ცუდი მენეჯმენტი.

ცხადია, რომ პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი ნებისმიერი ქვეყნისათვის ნორმალური საგარეო ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია როცა ექსპორტის ოუ იმპორტის მიზაშნერნილობა ეკონომიკურად დაუსაბუთებელია. ცხადია, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ უნდა გავიტანოთ ისეთი მაღალკონკურენტუნარიანი და შიგა ბაზარზე ჭარბი პროდუქცია, როგორიცაა საქვეყნოდ ცნობილი ბრენდები: მინერალური წყალი, დვინო-დვინო მასალები და მრავალი სხვა. შემოვიტანოთ ისეთი სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო პროდუქცია, რომლის წარმოება ქვეყანაში შეუძლებელია სხვადასხვა ობიექტური ოუ სუბიექტური პირობების გამო.

გასათვალისწინებელია სწრაფად განვითარებადი ქვეყნების: ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, ინდონეზიის, მექსიკისა და სხვა ბაზრების თავისებურებები. რომლებთათვისაც დამახასიათებელია არა მარტო სამეწარმეო რისკის მაღალი დონე, არამედ ზრდის უდიდესი ტემპები რომლითაც მათი ეკონომიკა ვთორდება და მოსახლეობის ცხოვრების დონე მსოფლიო სტანდარტებს უახლოვდება. ჩვენ ქვეყანაში არსებობს გარკვეული შანსები, რომ მოვიზიდოთ ინვესტიციები და გამოიყენოთ, დღევანდელ ეტაპზე მეტად საჭირო დარგის, თხილის წარმოების გაზრდისათვის. მითუმეტეს აღნიშნულ ნედლეულზე მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა. თხილის წარმოებას ახლაც და პერსპექტივაშიც განსაკუთრებული ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება, რადგან ქართული თხილი თვისების სასაქონლო თვისებებით მაღალ კონკურენტუნარიანია.

ჩვენი ქვეყნის ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა ტურიზმი. მართლაც ტურუზმი ერთერთი უდიდესი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომლის განვითარებასაც მეტ წილად განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყანაში შიდა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო და მომსახურების დონე. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას ქვეყნებში, სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლების ზრდას. ეკონომიკური გარემოსა და კულტურათა დაახლოების გზით, ტურიზმის განვითარებას შეუძლია აამაღლოს ქვეყნის განვითარების ტემპები. სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით გონიგრული სტრატეგიების შემუშავება და კანონმდებლობის დახვეწა, ტურიზმის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა შესაბამისი რეგულაციებითა და ინფრასტრუქტურის მოწყობით დიდ როლს შეასრულებს ტურიზმის განვითარების სფეროში. უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება ინვესტიციებს, რომლებიც მამორავებელ ძალას შეადგენენ ტურიზმის განვითარებაში. ტურიზმის ინდუსტრიის მასშტაბურობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციების მონაცემებით 2008 წელს მსოფლიო საერთო შემოსავლებიდან 1 ტრილიონამდე დოლარს სწორედ ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლები შეადგენდა. ხოლო საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 900 მილიონს აღემატებოდა. უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ტურისტთა ზრდის ტენდენცია განვითარებად ქვეყნებში, რაც ხელს უწყობს ამ ქვეყნებში შემოსავლების აკუმულირებას და ცხოვრების დონის ამაღლებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგალითად სვანეთის, კახეთის, შავი ხევისირეოთისა და სხვა რეგიონებში ტურიზმისა და მისი ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მიზნით, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ქმედითი დონისძიებებია ჩასატარებელი.

ახალი ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეშიადაგ ეძებს ისეთ გზებსადაცორმებს,

რომ განახორციელოს მაღალეფების ტური, ქმედითუნარიანი რეფორმები, რომლებიც ძირიდეს ვინა ადმინისტრაციის ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებულ ნებატურ მოვლენებს და მიმართული იქნება მრეწველობის მაღალმომგებიანი დარგებისა, ასევე ადგილობრივი საწარმოებისა და სხვადასხვა სფეროების განვითარებისაკენ. წარმოების თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვით, შრომის მეცნიერებლი თრგანიზაციის, წარმოების კულტურის დონის ამაღლებით, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდით, მატერიალური სტიმულირების ამაღლებისა და შრომის პროცესში ჯანსაღი ატმოსფეროს განხორციელებით, დასაქმდებიან კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. მინიმუმამდე შემცირდება მოსახლეობის გადინება საზღვარგარეთ და რესპუბლიკაში დამზადებული მაღალხარისხოვანი კონკურენტუნარიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით უზრუნველყოფილი იქნება შიდა ბაზრის მოთხოვნილება, ხოლო გარკვეული ნაწილი გატანილი იქნება ექსპორტის სახით. შემოდინებული უცხოური ინვენტიციებისა და ეფექტური დონისძიებების განხორციელების შედეგად კიდევ უფრო ამაღლდება რესპუბლიკის ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის დონე.

ზემოაბ ახალამა

აპ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

საქართველოს აბრარული ბიზნესი და ეკონომიკული ბაზარი

ეკონომიკური უნივერსიტეტის სამსახური

საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს წარმოადგენს არა მარტო მისი დიდი საექსპორტო პოტენციალის, არამედ სოციალური მნიშვნელობითაც. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობა მეტად როგორც მდგომარეობაში იმყოფება და სერიოზული პრობლემები აქვთ გადასაჭრელი. ბოლო თრი ათეული წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სექტორი განვითარების დახმარების როლში იყო, და არა მხოლოდ სექტორში პოლიტიკის თუ სტრატეგიის უქონლობის გამო. მთავრობას სექტორი მიტოვებული პქონდა, რაც განსხვავდება ჩაურევლობის პოლიტიკისაგან, ხოლო ეკონომიკის სტრატეგიულ პრიორიტეტად ის მხოლოდ სიტყვიერად პქონდა გამოცხადებული. ჩაურევლობის ამ მიდგომას თან სდევდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის უწყვეტი შემცირება, რაც გამოიხატებოდა ნათესი მიწების ფართობების შემცირებით და სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების დაცვით.